სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 აგვისტო 2026

N 594/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე

2026 წლის 13 მაისს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ - კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ნახიდური ჰესმა“ (ს/კ: 400207049) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ N 7040 განცხადება და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ კოდექსის მიხედვით (20/05/2026 წ. N 337/ს ბრძანებით) უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება. ასევე, კოდექსის შესაბამისად დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია „ენვიროთრასთ გრუპის“ მიერ.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

2020 წლის 25 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „ნახიდური ჰესის“ მდინარე ხრამზე ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-758 ბრძანება.

მითითებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) გათვალისწინებულ საქმიანობაში, სხვადასხვა დროს, არაერთი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განხორციელდა და 2021 წლის 22 ივლისს, 2023 წლის 30 მარტს, 2024 წლის 20 მაისს და 2025 წლის 9 ივნისს სააგენტოს მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება: №2-1125, №142/ს, 255/ს, 286/ს), რომელთა საფუძველზეც აღნიშნული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გზშ-ს არ დაექვემდებარა. ამასთან, 2026 წლის 4 თებერვალს, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური

ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სკრინინგის ანგარიში (N 1487), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (სკრინინგის გადაწყვეტილება ბრძანება N139/ს; 05.03.2026).

წარმოდგენილი საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის (წერილი N 21/9179) საფუძველზე, შპს „ნახიდური ჰესი“-ს მიერ 15/07/2026 წ. სააგენტოში წარმოდგენილი იქნა საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებასთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი: N 10755), რომელიც ეხება სადაწნეო მილსადენის სიგრძის და მოხვევის კუთხეების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის, ასევე მდინარის აკვედუკით გადაკვეთის, სათავე ნაგებობის დამცავი კედლების გრძივი ჭრილების პარამეტრების, „ნახიდური ჰესის“ და „ხრამი 7 ჰესის“ კუმულაციური ზემოქმედების გარემოსდაცვით კონტექსტში განხილვის მნიშვნელობას და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება/განხილვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნახიდური ჰესი“ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდინარე ხრამზე ახორციელებს 7,2 მგვტ სიმძლავრის „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს, რომლის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა და გამყვანი არხი.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად კაშხლის სიმაღლე იქნება 18 მ, მათ შორის წყლის შეტბორვა მოხდება 16 მ სიმაღლეზე. კაშხლის გასწორის GPS კოორდინატებია: მარჯვენა სანაპირო - X-471037, Y-4593653, მარცხენა სანაპირო - X-471114, Y-4593731. სადაწნეო მილსადენის ტრასის საერთო სიგრძე - 2310,3 მ. უახლოესი საცხოვრებელი სახლი სათავე ნაგებობიდან დაცილებულია 2,5 კმ-ით (სოფ. ქოსალარი), ხოლო ჰესის შენობიდან 1,6 კმ-ით (სოფ. ნახიდური). საპროექტო ტერიტორიის პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთები ძირითადად სახელმწიფო ან სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაშია, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ნაწილი გადაცემულია კომპანიაზე, ხოლო ნაწილზე დაწყებულია სარგებლობის უფლების მოპოვების პროცედურა.

 კაშხლის ქვედა ბიეფში გასაშვები მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი შეადგენს 2.04 $მ^3$/წმ, ხოლო ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯი - 22 $მ^3$/წმ, აღნიშნული პარამეტრები უცვლელია პირვანდელ გზშ-ის ანგარიშთან მიმართებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საქმიანობის განხორციელების საჭიროების შესახებ ინფორმაცია, ასევე მოცემულია ინფორმაცია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ. პროექტის ტექნიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული გარემო პირობების, ასევე სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული საპროექტო ცვლილებების შესაბამისად, პროექტის საბოლოო ეტაპზე საჭირო გახდა პროექტში გარკვეული დაზუსტებების შეტანა, კერძოდ: მილსადენის ტრასის ბუფერის დამუშავებისას, სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული მიწის, ჯამში 61 $მ^2$-ის, მოთხოვნა. შესაბამისად ნაცვლად 75,592 $მ^2$ ფართობისა მილსადენის ბუფერისთვის გამოყენებული იქნება 75,653 $მ^2$ ფართობის ტერიტორია. გარდა აღნიშნულისა, სათავე ნაგებობის სარკისებურმა ცვლილებამ და ხეობის საინჟინრო პირობებმა გამოიწვია, ნაპირსამაგრი კედლის დაგრძელება, რამაც ჰესის უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის საჭირო გახადა საყრდენი კედლის დაგრძელება, რაც გულისხმობს 95 $მ^2$ ფართობის მქონე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის მიწის ნაკვეთების დამატებას. ასევე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ეტაპზე გარკვეული ცვლილების საჭიროება გახდა ერთ საკადასტრო კოდზე არსებულ მიწის ნაკვეთების

გამიჯვნასთან დაკავშირებით, შესაბამისად ამ ნაწილშიც სათავე ნაგებობისთვის განსაზღვრულ ბუფერს დაემატა 45 $მ^2$. აღსანიშნავია, რომ ჰესის სააგრეგატე შენობის თავდაპირველი პროექტით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა მომხდარიყო მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე, თუმცა წინა წლებში ხეობაში დაფიქსირებული წყალდიდობის გამო, ჰესის უსაფრთხო ოპერირებისთვის გადაწყდა ჰესის შენობის მარცხენა სანაპიროზე გადატანა, რამაც პროექტიდან სრულად გამორიცხა აკვედუკის საჭიროება. ამასთან, მცირედი კონსტრუქციული ცვლილება ეხება ჰესის მიერ საავარიო წყლის დამცლელ სისტემას, კერძოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰესის სააგრეგატე შენობაში დასამონტაჟებელი ტურბინების მწარმოებელი ფირმის (კოჰჰელდოფერის) მოთხოვნით, მიუღებლად იქნა მიჩნეული სადაწნეო მილსადენის დაცლის განხორციელება ტურბინებში წყლის გატარებით და მიღებული იქნა სადაწნეო მილსადენის დასაცლელად სპეციალური დამცლელი მილსადენის მოწყობის გადაწყვეტილება. აღნიშნული მილსადენით, რომელიც მოეწყობა სადაწნეო მილსადენის ორ განშტოებად გაყოფისა და სააგრეგატე შენობაში შესვლის წინ, მოხდება სადაწნეო მილსადენში დაგროვილი წყლის გაყვანა მდინარე ხრამის, სააგრეგატე შენობის მიმდებარე მონაკვეთის კალაპოტში (ჩაშვების წერტილი X-473081, Y-4592987). ჰესის შენობის და გამყვანი არხის რელოკაციის გათვალისწინებით, საჭირო გახდა დამცავი კედლის კონფიგურაციის ცვლილება, ჰესის უსაფრთხოდ ოპერირების მიზნებიდან გამომდინარე. ადგილზე ჩატარებული გეოდეზიური სამუშაოების შედეგად, წყლის მიერ დასაკავებელი მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი ნაცვლად 476 949 $მ^2$-ისა იქნება - 498 271 $მ^2$ (ფართობი გაიზარდა 2.1 ჰა), რაც გულისხმობს 461 ნიშნულზე მიწის ნაკვეთების დამატებას. საპროექტო ცვლილება ასევე ეხება სათავე ნაგებობასთან მარჯვენა სანაპიროზე მისასვლელ გზას, რაც გულისხმობს გრუნტის გზის მოწყობას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ითვალისწინებს სადაწნეო მილსადენის მარჯვენა სანაპიროდან მარცხენა სანაპიროზე გადატანას.

საპროექტო ცვლილებებით, არ იცვლება დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და არც მათი სამუშაო გრაფიკი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოწოდება ხდება არსებული პირობების შესაბამისად, ქვიშა-ხრეშით სამშენებლო უბნები მარაგდება უახლოესი ლიცენზირებული კარიერებიდან. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში სანაყაროს (ამოღებული გრუნტი სრულად გამოიყენება უკუყრილებისთვის) და სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ იგეგმება. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, როგორც არსებულ სკრინინგის ანგარიშებშია მოცემული სამშენებლო ბანაკები ამოღებულია პროექტიდან. ამასთან, საპროექტო ცვლილებები არ გულისხმობს ახალი სამშენებლო ბანაკის მოწყობას. სამშენებლო სამუშაოების მიზნით პროექტს ემსახურება, მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე მოწყობილი ერთი ძირითადი N1 სამშენებლო ბანაკი X-473235, Y-4593048. პროექტის ფარგლებში, აღარც წინა ეტაპზე მოცემული სანაყაროები გამოიყენება, რადგან პროექტის ფარგლებში ჯამურად შემცირებულია სამშენებლო სამუშაოების მასშტაბები, პროექტის სრულად მარცხენა სანაპიროზე გადატანით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 1000-1500 $მ^3$-ზე მეტი გრუნტის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის.

ჰესის საბოლოო პროექტით, სათავე ნაგებობის ზედა ნაწილში გათვალისწინებულია 198-200 მეტრის გზის მოწყობა, რომლის სიგანეც იქნება 6 მეტრი. მისასვლელი გზის საწყისი და საბოლოო Gps კოორდინატებია - X-471187, Y4593583; X-47103,Y-4593646. მდინარე ხრამის მარცხენა სანაპიროზე არსებული მილსადენის ტრასისთვის გამოყოფილი ბუფერი, ასევე გამოყენებული იქნება მისასვლელ გზად. არსებული მდგომარეობით სოფ. ნახიდურიდან ზევით, მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე გადის ადგილობრივი დანიშნულების გრუნტის საფარიანი გზა. აღნიშნული გზა დაახლოებით 1,0 კმ-ით სცდება მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით საპროექტო „ნახიდური ჰესი“-ს სათავე ნაგებობის მოწყობის ადგილს. ამ გზას უერთდება როგორც აღინიშნა, მდინარე ხრამის ხეობის მარჯვენა ფერდობის მდინარის სანაპირო ზოლში ჩამომავალი, ასევე ადგილობრივი დანიშნულების გზები, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა. საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის მშენებლობის ადგილამდე მისასვლელად გათვალისწინებულია აღნიშნული, არსებული გრუნტის საფარიანი გზის გამოყენება.

მშენებლობის პერიოდში მოხდება არსებული გზის ცალკეული მონაკვეთების გაფართოება და გზის გრუნტის საფარის მოწესრიგება: ცალკეული ჩადაბლებული ადგილების შევსება, მოშანდაკება და ა.შ, რა დროსაც მისასვლელი გზის მოსაწყობად, საჭიროა დაახლოებით 300 $м^3$ მოცულობის გრუნტის მოხსნა, რომელიც გამოყენებული იქნება ისევ ამავე გზის ვაკისის მოსაწყობად. საპროექტო სათავე ნაგებობის კაშხალზე გათვალისწინებულია კაშხლის შუალედურ ბურჯებზე დაყრდნობილი საექსპლუატაციო საავტომობილო გადასასვლელის მოწყობა, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც უშუალოდ სათავე ნაგებობის საექსპლუატაციო სამუშაოების განსახორციელებლად, ისე, საჭიროების შემთხვევაში მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასასვლელად, სადაც გაივლის ჰესის სადაწნეო მილსადენი. აღნიშნული გზიდან შესაძლებელი იქნება კაშხალზე მოწყობილ საავტომობილო გადასასვლელთან დაკავშირება, საჭიროების შემთხვევაში, საექსპლუატაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას დანართის სახით თან ახლავს, ინფორმაცია მარცხენა ნაპირზე გადატანილი სადაწნეო მილსადენის ტრასის შესახებ. საბოლოოდ შემუშავებული საპროექტო გადაწყვეტილების მიხედვით, ჰესის სადაწნეო მილსადენი მთელს სიგრძეზე გადის მდინარის მარცხენა ნაპირზე. მილსადენის სიგრძე წყალმიმღები კამერის გამოსასვლელი სათავისიდან ჰესის სააგრეგატე შენობის შესასვლელთან მოწყობილ, სადაწნეო მილსადენის სატურბინე განშტოებებად გაყოფის კვანძამდე, შეადგენს 2310,3 მ-ს. მილსადენის მთლიანი სიგრძიდან 2298,3 მ. სიგრძეზე მილსადენი მოწყობილია არმირებული მინის (GRP) მილებით, ხოლო 12 მ. სიგრძეზე 2800 მმ. დიამეტრის ფოლადის მილით. მთელ სიგრძეზე, სადაწნეო მილსადენი მოეწყობა ტრანშეაში, რომელიც, მილსადენის მონტაჟის დასრულების შემდეგ შეივსება ინერტული მასალით (ტრანშეის შევსების სხვადასხვა ზონებისათვის, სხვადასხვა გრანულომეტრიული შემადგენლობის მქონე, კარიერებიდან შემოტანილი ღორღით). დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სადაწნეო მილსადენის სიგრძეზე, სამ ადგილას, გათვალისწინებულია მილსადენში ჩასასვლელი ლუკების მოწყობა.

პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამშენებლო სამუშოებისთვის განსაზღვრულია დაახლოებით 4-6 თვე. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, პროექტისთვის მომზადებული რეკულტივაციის პროექტის მიხედვით პროექტის ფარგლებში ჯამში მოხსნას დაქვემდებარებულია დაახლოებით 2324 $მ^3$ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, საპროექტო ცვლილებებით გარკვეულ მონაკვეთებში შემცირებული სამშენებლო სამუშაოების შესაბამისად (მათ შორის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად), სულ ჯამში მოხსნას დაქვემდებარებული ნაყოფიერი ფენის მოცულობა არის 2000 $მ^3$ (მათ შორის შეტბორვის კონტურში მოსახსნელი ნაყოფიერი ფენა), რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის, ტერიტორიის რეკულტივაციისთვის, ამ ეტაპზე ყველა მოხსნილი ნაყოფიერი ფენა, შესაბამისი პირობების დაცვით განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 80.02.61.312). პროექტის ფარგლებში ტერიტორიის რეკულტივაცია გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში, მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპისთვის სასმელ-სამეურნეო წყლების მართვა პირვანდელი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით მოხდება, თუმცა ვინაიდან ჰესის შენობა გადასულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე, შესაბამისად სანიტარული მიზნებისთვის, ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე სანიტარული კვანძიც გადავიდა მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნიკურ წყლით ჰესის მომარაგება განხორციელდება სადაწნეო მილსადენიდან. სადაწნეო მილსადენის დამცლელ მილს, ურდულის წინ გამოეყოფა ჰესის სააგრეგატე შენობაში ტექნიკური წყლის მისაწოდებელი მილი. პროექტის მიზნებისთვის, ჰესის შენობაში მოეწყობა სანიტარული კვანძი, რომელიც დაკავშირებული იქნება, შენობის გარეთ 2,5 $მ^3$ მოცულობის საასენიზაციო ორმოსთან, რომლის დაცლაც მოხდება შევსების შესაბამისად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სახანძრო მიზნებისთვის წყალმომარაგებას, ჰესის სააგრეგატე შენობის მიმდებარე მოსწორებული ფართობიდან, ეწყობა სპეციალური ჩასასვლელი სახანძრო მანქანებისათვის მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირზე, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ამოღებული იქნება აღნიშნული მიზნებისთვის წყალი.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ცვლილებებით, ხმაურის და ემისიებით მოსალოდნელი ზემოქმედება გზშ-ის ანგარიშში განხილული ზემოქმედებებისა და მასშტაბებისგან განსხვავებული არ არის. მოსახლეობის დიდი მანძილის გათვალისწინებით, საპროექტო ცვლილება ზემოქმედების მასშტაბების ცვლილებას, არ გამოიწვევს. მიუხედავად ზემოაღნიშნული უცვლელი ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბისა დოკუმენტში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რაც გულისხმობს მაგალითად პროექტის ფარგლებში მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას, ასევე მანქანები, დანადგარ-მექანიზმები განლაგდება მგრძნობიარე რეცეპტორებისგან მაქსიმალურად მოშორებით და სხვა. ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო ცვლილებები, სოფელ ნახიდურში სატრანსპორტო ნაკადის ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

პროექტის სპეციფიკის და საპროექტო ცვლილებების გათვალისწინებით, მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედება, თავდაპირველი პროექტის მსგავსია, კერძოდ ზემოქმედება შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს სამშენებლო სამუშაოების (განსაკუთრებით მიწის სამუშაოების) დროს საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შედეგად. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება პირველადი გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სხვადასხვა დროს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ტერიტორიაზე იდენტიფიცირდა რამდენიმე გეოლოგიურად საყურადღებო მონაკვეთი, სადაც მუდმივად ხდება გეოდინამიკური პროცესების მონიტორინგი. ამავე მონიტორინგის ფარგლებში ხდება პალეომეწყრული უბნების შეფასება, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პალეომეწყერულ ფერდობებზე მეწყრების აქტიურ დინამიკაში ყოფნის კვალი არ გამოვლენილა. არ შეინიშნება ახალი ღია ნაპრალები, მეწყრული საფეხურები და დეფორმაციები. დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლოა ითქვას, რომ მეწყრული ფერდობები სტაბილიზირების პროცესში იმყოფებიან. მილსადენის პლატფორმის ჭრილში ორ უბანზე ფიქსირდება მეწყრული მოვლენა. ორივე მეწყერი განვითარებულია თიხოვან-ღორღოვან გრუნტებში და მათი წარმოქმნა განპირობებულია ფერდობზე გრუნტების ექსკავაციის, ფერდობის ძირის ხელოვნურად ჩამოჭრის გამო. ორივე მეწყერი დღეის მდგომარეობითაც დინამიკაშია, რაც საჭიროებს დამატებით მონიტორინგს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ პალეო მეწყრული უბნები ამ ეტაპზე სტაბილურ მდგომარეობაშია ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე არ არის გამორიცხული წყალსაცავის რეგულირების გათვალისწინებით მოხდეს პირველი მეწყრის ქანების დასველება-გაჯირჯვება და მისი დესტაბილიზაცია, აღნიშნული მოვლენის პრევენციას ემსახურება დამცავი კედელი, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მონიტორინგის ღონისძიებები. დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია საცემენტაციო ფარდის მოწყობის შესახებ, რომლის თანახმადაც საცემენტაციო ფარდა ეწყობა სათავე ნაგებობის წყალსაგდები კაშხლის, გამრეცხი რაბის და წყალმიმღები კვანძის გაყოლებაზე ზედა ბიეფის მხრიდან.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილებების გათვალისწინებით, წყლის გარემოზე ზემოქმედება დაკავშირებულია სათავე ნაგებობის, ჰესის შენობის და დამცავი კედლების მოწყობისას. გარდა ამისა, მყარი და თხევადი ნარჩენების არასწორი მენეჯმენტის და საწვავის/ზეთის შემთხვევითი ჩაღვრის შედეგად არსებობს სხვადასხვა დამაბინძურებლების გავრცელების საშიშროება. გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესდება შესაბამისი მონიტორინგი შესაბამისი გარემოსდაცვითი

ღონისძიებების სათანადოდ გატარების შემთხვევაში წყლის გარემოზე დაბინძურების რისკები მინიმუმამდე შემცირდება.

გზშ-ის დოკუმენტის მიხედვით, ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯი შეადგენს 22 მ^3/წმ. აღსანიშნავია, რომ პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთზე მდ. ხრამს რაიმე მნიშვნელოვანი შენაკადი არ გაჩნია. ჰესის ეკოლოგიური ხარჯი განსაზღვრულია 50%-იანი უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯის 10%-ის ოდენობით (2.04 მ^3/წმ). ნახიდური ჰესის ფუნქციონირება ძირითადად დამოკიდებული იქნება ზედა ბიეფში მოქმედი ჰესების ფუნქციონირებაზე, რომელთა მიერ გამოყენებული წყლის ხარჯები ბოლო წლებში დიდი ამპლიტუდით ხასიათდება და მეტად არასტაბილურია, კერძოდ: ჰესების გამონამუშევარი წყლის რაოდენობა თვის განმავლობაში იცვლება 0-დან 32,6 მ^3/წმ-მდე, ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო მონაკვეთზე წყალაღების ფაქტები დაფიქსირებული არ არის და არც სხვა სახის წყალმომხმარებლები არ არის წარმოდგენილი, ხოლო საპროექტო მონაკვეთზე მდინარის წყლის სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსახლეობასთან შეთანხმებით, დაგეგმილია არსებული სარეკრეაციო ადგილების კეთილმოწყობა. კაშხლის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარება მოხდება თევზსავალის და კაშხლის ფარების საშუალებით. ეკოლოგიური ხარჯის კონტროლის მიზნით, ქვედა ბიეფში მოეწყობა ხარჯმზომი.

ფლორისტული კვლევა-მონიტორინგი მოიცავს 2024-2025 წლის ოთხივე სეზონს, რომლის მთავარი მიზანი იყო, საკვლევ არეალში შემავალი ჰაბიტატებისა და მცენარეული საფარის ინვენტარიზაცია. 2025 წლის ოთხივე სეზონის საველე კვლევა-მონიტორინგის შედეგად საკვლევ არეალში დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა ოთხი სახეობა. 2025 წლის ოთხივე სეზონის საველე კვლევა-მონიტორინგის შედეგად საკვლევ არეალში დაფიქსირდა არაადგილობრივი მცენარის 18 სახეობა. 2025 წლის ოთხივე სეზონის საველე კვლევა-მონიტორინგის შედეგად საკვლევ არეალში გამოვლინდა მცენარეთა 60 სახეობა. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გამოიყო ორი ტიპის ჰაბიტატი, ხმელთაშუაზღვისპირული ბუჩქნარები და დაბალტანიანი ხეები F3.2 და ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე G1.3. საკვლევი ზონა წარმოადგენს ერთგვარ სენსიტიურ ჰაბიტატების კომპლექსს, სადაც გვხვდება საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეული სახეობები, როგორებიცაა ჭალის მუხა (Quercus pedunculiflora), ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum), თელადუმა (Ulmus minor) და საკმლის ხე (Pistacea mutica). საკვლევი ტერიტორიასთან დაახლოებით 12-13 კმ-ის მანძილითაა დაშორებული, მდ. ხრამის ხეობაში მდებარე ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი ,,სამშვილდე - GE0000044“.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, „ნახიდური ჰესი“-ს განთავსების ტერიტორია არ კვეთს დაცული ტერიტორიებს, თუმცა ჰესის თითქმის ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი ხვდება, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე. ჩატარებული ტყის ტაქსაციის მონაცემები დანართის სახით თან ერთვის გზშ ანგარიშს (განახლებული ტაქსაციის მასალები, მოიცავს მხოლოდ საპროექტო ცვლილებისთვის განსაზღვრულ უბნებს).

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 235 854 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს კვარტალი NN45; 46; 47 და ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის ფახრალოს სატყეოს კვარტალი N1-სა და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. ასევე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 235 854 კვ.მ მიწის ნაკვეთი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 91 ერთეულ მიწის ნაკვეთზე.

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობასთან დაკავშირებით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პოზიცია, რომლის თანახმად განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის მოთხოვნილი ფართობები, წარმოადგენს რეგისტრირებულ სახელმწიფო ტყის მიწებს. ამასთან, შპს „ნახიდური ჰესის“

მიერ მოთხოვნილი ფართობის ნაწილზე უკვე გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება, ხოლო იმ ფართობებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ ფიქსირდება სარგებლობის უფლება, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი დაინტერესებული პირის მომართვის შემთხვევაში, იმსჯელოს აღნიშნულ ფართობებზე სარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებით.

ტაქსაციის მასალებით, ქონების მართვის სააგენტოს (სახელმწიფო) დაქვემდებარებულ მიწებზე მოსაჭრელი წითელი ნუსხის საერთო რაოდენობაა - 160 ერთეული საიდანაც ჭალის მუხა (Quercus longipes) არის - 10 ერთეული, დანარჩენი შიშველი აკაკი (Celtis dlabrata), მოსაჭრელი წითელი ნუსხის საერთო მოცულობაა - 78.111 $მ^3$, ხოლო სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე იჭრება ჯამში 466 ერთეული ხე, საიდანაც შიშველი თელადუმა (Ulmus glabra) – 76 ერთეული, კაკალი (Juglans regia) – 1 ცალი, ჭალის მუხა (Quercus longipes) – 79 ერთეული დანარჩენი შიშველი აკაკი (Celtis dlabrata), მოსაჭრელი წითელი ნუსხის საერთო მოცულობაა - 59.905 $მ^3$.

ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა მოხდება შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა, დანართის სახით თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს.

საპროექტო „ნახიდური ჰესის“ მიმდებარედ ასევე დაგეგმილია „ხრამი 7 ჰესის“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბრძანება N 531/ს; 06.10.202) მშენებლობა-ექსპლუატაცია. ამასთან, როგორც დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაშია აღნიშნული, მშენებლობის ეტაპზე „ხრამი 7 ჰესთან“ კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ხრამი 7 ჰესის სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა. დამატებით დოკუმენტაციაში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდინარე ხრამზე არსებული და დაგეგმილი ჰესების მშენებლობა და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედებების შესახებ. მათ შორის პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე. თუმცა, ვინაიდან, საპროექტო ჰესების სათავე ნაგებობები აღჭურვილი იქნება თევზსავალებით, აღნიშნული გარკვეულად შეამცირებს თევზის მიგრაციის პირობებზე ზემოქმედების რისკებს. მაგრამ წყლის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები, დაკავშირებული იქნება მდინარეში წყლის დონის შემცირებასთან. მდინარეში წყლის დონის ცვალებადობას ადგილი ექნება დაახლოებით 55-60 კმ სიგრძის მონაკვეთზე, სადაც გატარებული იქნება ჰესებისათვის დადგენილი ეკოლოგიური ხარჯები და შენაკადებიდან შემონადენი წყლები. დამატებით დოკუმენტაციაში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდინარე ხრამზე არსებული და დაგეგმილი ჰესების მშენებლობა და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედებების შესახებ.

ვინაიდან საპროექტო „ნახიდური ჰესის“ მიმდებარედ დაგეგმილია „ხრამი 7 ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის წერილობითი სახით მიწოდება (N 21/8585 წერილი), აღნიშნულთან მიმართებით, შპს „საქენერგოს“ ცნობით, მდინარე ხრამზე მშენებარე 7.2 მგვტ საპროექტო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ნახიდური ჰეის“ შეტბორვის ზონა ფარავს „ხრამი 7-ის“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით შეთანხმებული 6 ერთეული სანაყაროდან N 5 სანაყაროს ტერიტორიას. მცირე ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც განხორციელდა „ხრამი 7-ის პროექტში სანაყარო N5 უქმდება. რასთან დაკავშირებითაც კომპანიის განმარტებით დაგეგმილია განახლებული ანგარიშის წარმოდგენა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ წარმოდგენილია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წერილობით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო

დავალება N 1758). აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს“ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

დამატებით დოკუმენტაციას დანართის სახით თან ახლავს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი (№ 17/3170), რომლის თანახმადაც, წარმოდგენილი არქეოლოგიური ანგარიშის მიხედვით (სააგენტოში შემოტანილი 09.07.2026 წლის N4857 წერილი), შესწავლილ იქნა ის არეალი, რომელზეც ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად გამოიკვეთა არქეოლოგიური ობიექტების არსებობის ალბათობა. შესწავლილ ტერიტორიაზე დაფიქსირდა შუა საუკუნეების ნასოფლარის შემადგენელი დამხმარე ტიპის ორი სამეურნეო ნაგებობის ნაშთები, რომელთა ნაწილობრივი გამოყენება და დაზიანება XX საუკუნეშიც მომხდარა. ნაგებობათა კედლები ბაზალტის ფლეთილი ქვით ყოფილა ამოყვანილი უდუღაბოდ და რიგ შემთხვევაში მხოლოდ ზეძირკვლის დონეზეა შემორჩენილი. ანგარიშის დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ „ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები არ წარმოადგენს პროექტის განხორციელების/დატბორვის ხელისშემშლელ პირობას.“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, გამოვლენილი ორი ნაგებობის ნაშთი კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით არ წარმოადგენენ იმ მნიშვნელობის არქეოლოგიურ ობიექტებს, რომ განხილულ იქნეს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. შესაბამისად, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი ტერიტორია გამოყენებული იქნეს პროექტის განხორციელებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნაგებობათა ნაშთები ხელუხლებლად იქნება შენარჩუნებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის სააგრეგატე შენობის წყალგამყვანი ტრაქტის მდინარესთან შეერთების კვეთიდან ქვევით, 300 მ-ში, მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული ხრამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სათავე წყალმიმღები ნაგებობა. ამასთან, შპს საქართველოს მელიორაციის ცნობით, შპს „ნახიდური ჰესი“-ს და შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი-მდინარე ხრამზე განთავსებული „ნახიდური ჰესისთვის“ მოწყობილი წყალსაცავიდან გამომავალი წყლის რეგულირებისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წყლით უზრუნველყოფის შესახებ. ასევე მემორანდუმის მუხლი 2-ის, მე-7 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, მასზედ რომ ამავე მუხლში გაწერილი, წყალსაცავის ექსპლუატაციის პირობები ასახული უნდა იყოს გზშ-ის დოკუმენტში, რასთან დაკავშირებითაც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ 2026 წლის 8 მაისს შპს ნახიდური ჰესსა და შპს საქართველოს მელიორაციას შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული მემორანდუმის შესაბამისად კომპანია იღებს ვალდებულებას ჰესის ოპერირების ეტაპზე შეასრულოს მემორანდუმის ყველა პირობა, მათ შორის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.

შპს საქართველოს მელიორაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი დაზუსტებულ დოკუმენტაცია შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში სრულად უნდა იქნეს ასახული შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და შპს „ნახიდური ჰესს“ შორის გაფორმებული, თანდართული მემორანდუმის მე-2 მუხლით განსაზღვრული შპს „ნახიდური ჰესის“ ვალდებულებები. კერძოდ აღნიშნული მემორანდუმის მე-2 მუხლი მოიცავ შემდეგ პირობებს:

„1. „ჰესი“ იღებს ვალდებულებას, აქტიურ საირიგაციო სეზონზე 15 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში (6 თვე). წყალსაცავის მოცულობის სიდიდით განპირობებული შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყოს „კომპანიისთვის“ წყლის დროული და შეუფერხებელი მიწოდება ამ მემორანდუმის

დანართით განსაზღვრული წყლის მოცულობისა და წყლის მიწოდების გრაფიკის ფარგლებში, „კომპანიის“ მოთხოვნების შესაბამისად.

2. „ჰესი“ იღებს ვალდებულებას, აქტიურ საირიგაციო სეზონზე 15 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში (6 თვე), ოპერირება განახორციელოს იმგვარად, რომ წყალსაცავის მოცულობის სიდიდით განპირობებული შესაძლებლობების ფარგლებში, იქონიოს წყლის მუდმივი მარაგი „კომპანიის“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ნახიდური ჰესის წყალსაცავის მოცულობა იძლევა ჩამონადენის მხოლოდ დღე-ღამურ ჭრილში დარეგულირების შესაძლებლობას, და ამგვარად „ჰესი“ ვერ აიღებს პასუხისმგებლობას სარწყავი სისტემების წყლით სრულად უზრუნველყოფაზე იმ სიტუაციაში, როდესაც გაუთვალისწინებელი შემთხვევების არსებობისას, წყლის მოდინება „ნახიდური ჰესთან" უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს საჭიროა ნახიდური ჰესის“ ქვემოთ განთავსებული სარწყავი სისტემების წყალუზრუნველყოფისათვის.

3. იმ შემთხვევაში, თუ „ჰესი“ ვერ დააკმაყოფილებს ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ „კომპანიის“ მოთხოვნებს, მის ზემოთ განთავსებული ხრამი-2 ჰესის მიერ წყალსაცავში წყლის დაგროვების გამო წყლის ხარჯის შემცირების/შეწყვეტის მიზეზით, „ჰესი" იღებს ვალდებულებას აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს „კომპანიას“.

4. მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, „ჰესი“ იღებს ვალდებულებას აქტიურ საირიგაციო სეზონზე 15 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში (6 თვე), წყალსაცავის მოცულობით განპირობებული შესაძლებლობების ფარგლებში, ოპერირება განახორციელოს „კომპანიის“ მიერ მოთხოვნილი წყლის ხარჯის ფარგლებში, ხოლო თუ წყალსაცავი შევსებულია და „კომპანიის“ მიერ მოთხოვნილი წყლის ხარჯთან შედარებით არის მეტი ჩამონადენი წყალსაცავის ზედა ბიეფში, ამ შემთხვევაში ჰესს უფლება აქვს ოპერირება განახორციელოს „კომპანიის“ მიერ მოთხოვნილი წყლის ხარჯისა და დამატებითი ჩამონადენის ჯამური მოცულობის ფარგლებში, იმგვარად, რომ არ შემცირდეს წყალსაცავში წყლის მოცულობა.

5. ამ მემორანდუმის დანართით განსაზღვრული წყლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის ცვლილება შეიძლება განხორციელდეს „კომპანიის“ მითითებით, პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, „კომპანიის“ სადისპეტჩეროს მოთხოვნის შესაბამისად. ამ მიზნით, “ჰესი“ იღებს ვალდებულებას გამოყოს საკონტაქტო პირები, რომლებიც აქტიურ საირიგაციო სეზონზე 15 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში (6 თვე). 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფენ წყალსაცავის ოპერირებას, წყალსაცავის მოცულობით განპირობებული შესაძლებლობების ფარგლებში, „კომპანიის“ მოთხოვნის შესაბამისად.

6. „ჰესს“ უფლება აქვს, არასაირიგაციო სეზონზე – 15 ოქტომბრიდან 15 აპრილამდე, ოპერირება განახორციელოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

7. ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებები ასახული უნდა იქნეს გზშ-სა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პირობებში ვალდებულებებში.

8. ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის „კომპანიას" უფლება აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობას, „ნახიდური ჰესის“ მიერ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის შესაბამის სამართლებრივი ქმედების განხორციელების მოთხოვნით.“

როგორც აღინიშნა, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად (ასევე დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია) განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კოდექსის შესაბამისად დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7^1 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12^1 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდინარე ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია:**

   ა) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, თანდართული და დაზუსტებული დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით შედგენილი პროექტის მიხედვით.

   ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგის განხორციელება ექსპლუატაციიდან მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, ხოლო 5 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ მონიტორინგის ანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს შემდგომი დაკვირვების გაგრძელების საჭიროება, ასევე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრული რეკომენდაციები შესათანხმებლად იქნას წარმოდგენილი სააგენტოში;

   გ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დასატბორი ტერიტორიის ფარგლებში დაზიანებული ჰაბიტატების აღდგენის მიზნით უზრუნველყოს საკომპენსაციო ღონისძიებების დეტალური პაკეტის წარმოდგენა შესაბამისი გეგმა-გრაფიკით. საკომპენსაციო ღონისძიებების პაკეტში აისახოს და საკომპენსაციო ფართობების შერჩევისას გათვალისწინებული იქნეს ჭალის ტყის ჰაბიტატების განსაკუთრებული ეკოლოგიური ღირებულება და ფუნქციები, პაკეტში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ჰაბიტატების აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მეთოდოლოგიისა და ეტაპების, აღსადგენი ფართობების შერჩევის დასაბუთების, ასევე აღდგენილი ტერიტორიების მოვლისა და დაცვის, აგრეთვე შემდგომი მონიტორინგის შესახებ. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ნერგების გახმობის ან სხვა მიზეზით დაზიანების შემთხვევაში მათი ჩანაცვლების მექანიზმი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;

დ) სამშენებლო სამუშაოების პარალელურად, საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცული მცენარეთა სახეობების გარემოდან ამოღების საკომპენსაციოდ, ტყის მართვის ორგანოსთან შეთანხმებული ტყის აღდგენის პროექტის მიხედვით დაიწყოს და შეთანხმებულ ვადებში განახორციელოს გარემოდან ამოღებული საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული სახეობების იდენტური რაოდენობის აღდგენის შესაბამისი ღონისძიებები;

ე) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე ასახული იქნება დაზიანებული ჰაბიტატების აღდგენის/რეკულტივაციის ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე განხორციელებული აღდგენითი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აღდგენითი და/ან შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების საკითხები. განახლებულ გეგმაში აისახოს თითოეული ბიოლოგიური კომპონენტის კვლევის მეთოდოლოგია (მათ შორის, კვლევის მეთოდები, მონიტორინგის ჩატარების ტერიტორიები, სიხშირე, სეზონურობა). აგრეთვე გეგმაში დაზუსტდეს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მეთოდოლოგია (კვლევის კონკრეტული მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც განხორციელდება წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი). გეგმაში გაითვალისწინოს და იქთიოფაუნის მონიტორინგის ფარგლებში უზრუნველყოს თევზჭერის ძალისხმევის ერთეულის - CPUE (CatchPer-Unit-Effort) გამოთვლა თევზის ცალკეულ სახეობებზე. გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის თაობაზე;

ვ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს სათავე ნაგებობის (კაშხალი, გამრეცხი მარჯვენა და მარცხენა ნაპირის საყრდენი კედლები) ერთიანი საერთო-სამშენებლო ნახაზების (გეგმა, გრძივი და განივი ჭრილები - ბუნებრივი რელიეფის, საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (ლეგენდით), წყლის დონეებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების (კონტრფორსები, უკუყრილი, მიტვირთვები, დრენაჟები) ჩვენებით) სააგენტოში წარმოდგენა;

ზ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ფერდობებში (საყრდენი კედლების ზონებში) საცემენტაციო ფარდის არ მოწყობის შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის, ასევე დაგეგმილი საცემენტაციო ფარდის მოწყობის ტექნოლოგიის და საპროექტო კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;

თ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს სათავე ნაგებობაზე და წყალსაცავის ზონაში მეწყრულ სხეულებზე საკონტროლო-გამზომი მოწყობილობების განთავსების სქემისა და შესაბამისი მონიტორინგის პროგრამის სააგენტოში წარმოდგენა;

ი) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს დამცლელი მილის დისკური საკეტის შუალედურ პოზიციებში ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა;

კ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;

ლ) საქმიანობა განახორციელოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;

მ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ნ) საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და შპს „ნახიდური ჰესს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის მე-2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, ასევე, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირობების შესრულება;

ო) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

4. შპს „ნახიდური ჰესისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს **შპს „ნახიდური ჰესს**;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს **შპს „ნახიდური ჰესის“** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/594-21-4-202608190918

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE